F567/3678

იდიდე მარად ჩემო სამშობლოვ!

საბჭოეთის საქართველო


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-13 წელი

№ 8 (216)

აპრილი,

1969 წელი



თბილისი, მთაწმინდა. აპრილი.

მიწის განაწლება

სამგორის ქვაბული, რომელიც ახლა უკავია თბილისის ზღვას, ოდესღაც მტკვრის კალაპოტი იყო. მაგრამ მრავალი საუკუნის წინათ მდინარემ ახალი გზა იპოვა, ძველ კალაპოტს კი მოგვაგონებდა ადგილის დამახასიათებელი რელიეფი, რომელსაც ეწოდა სამგორის ველი.

უწყლო ველი! რამდენიმე ათეულ კილომეტრზე არც სახლია, არც ბე. პაპანაქება სიცხე და ქარი სულ უფრო მეტად აშრობდა ნაყოფიერ მიწას. ასე იყო.

ველის მორწყვა, ადამიანის სამსახურში მისი ჩაყენება ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება იყო. მაგრამ, ისევე როგორც ხალხის ყველა სხვა ოცნება, იგი განხორციელდა მხოლოდ ჩვენს დღეებში, საბჭოთა ეპოქაში.

...კარგია ახლა ეს ადგილები. ქარი აშრიალებს ხეებს. ფართოდ გადაჭიმულა ვენახები, ხეხილის ბაღები, ყანები, ბაღჩები, ბოსტნები. ლამაზია საბჭოთა მეურნეობების დაბები გამარჯვება, სართიჭალა, ვარკეთილი, სამგორი, ჯანდარი, რუისბოლო. აქ არის კაპიტალური სახლები, კლუბები, სკოლები, საბავშვო დაწესებულებები, წყალსადენი, ელექტრობა. საინტერესოა ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დაბა. ეს მთელი ქალაქია. აქაური სკოლასა და საბავშვო ბაღს ყოველი დიდი ქალაქი შეშატრებს. დაბისაკენ გაჰყავთ მილები, იგი მალე იქნება გაზიფიცირებული.

კარგ მოსავალს იძლევა სამგორის 40 ათასი ჰექტარი მიწები, რომლებსაც მდინარე ივრის წყალი რწყავს. გარდაბნის რაიონის მძლავრი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ძირითადად ველიან ზოლში მდებარეობენ, თბილისისა და რუსთავის მოსახლეობისათვის ბოსტნეულის, ყურძნის, ხორცის, რძის, კვერცხის, მწვანილის მთავარი მიმწოდებლები არიან. სამგორის საჭიშე მეცხოველეობას საბჭოთა მეურნეობის ჯანდარის გასასუქებელი განყოფილება ქალაქების მცხოვრებლებს ამარაგებს ახალი ხორცით, სართიჭალის საბჭოთა მეურნეობა — რძით, ვარკეთილისა — ყურძნით, სამგორისა — ფრინველის ხორცით, რუისბოლოსი — პამიდორით, კიტრით, ბადრიჯნით, ჭარხლით, ხახვით, მწვანილით, გარდაბნისა — ატმით, ვაშლით, ალუბლით, ბლით. გარდაბნის რაიონი იძლევა რესპუბლიკაში დამზადებული ბოსტნეულის თითქმის ნახევარს.

ზემო სამგორის სარწყავი სისტემა არა მარტო რწყავს მიწას, არამედ აბრუნებს სამი ჰიდროელექტროსადგურის — საცხენისის, მარტყოფის, თერიხევის ჰიდროსადგურების ტურბინებს.

ამჟამად სარწყავი მიწათმოქმედების ფართობი საქართველოში შეადგენს 378 ათას ჰექტარს — ორჯერ და უფრო მეტს, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ამოშრობილია 130 ათასი ჰექტარი დაჭაობებული და ზედმეტად დატენიანებული მიწები. დიდ ფართობებზე წარმოებს ნიადაგის გაკირიანება და გათაბაშირიანება, მთებისა და ხევების კალთების გატყევება. ირგვება საცავი ტყის ზოლები.

მტკაველობით, ჰექტარობით ვართმევთ კოლხეთის ჭაობებს ნაყოფიერ მიწებს. ამას წინათ აქ შექმნილი საბჭოთა მეურნეობების „კოლხეთის“ და „განთიადის“ შემდეგ გაჩნდება კიდევ 20 საბჭოთა მეურნეობა. კოლხეთი იქცევა სუბტროპიკული კულტურების უდიდეს ცენტრად. იგი მოგვცემს 160 ათას ტონა ჩაის ფოთოლს, 40 ათას ტონა მანდარინს, ლიმონსა და ფორთოხალს, 7 ათას ტონა დაფნის ფოთოლს, ბევრ ყურძენს, ხილს, მეცხოველეობის პროდუქტებს.

საქართველოს რუკა იფარება ახალი ცისფერი ლაქებით, ახალი ცისფერი ნაზებით, რომლებსაც მაცოცხლებელი ენერგია მიაქვთ მინდვრებში, პლანტაციებში, ვენახებში, ბაღებსა და ბოსტნებში. მალე ჩადგება მწყობრში ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა. გამალებით შენდება ზემო ალაზნის სისტემა.

ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა უდიდესი იქნება რესპუბლიკაში. იგი გათვალისწინებულია აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების 108 ათასი ჰექტარი მიწების მოსარწყავად. არხის ტრასა გაივლის პანკისის ხეობაში, გადაჭრის ცივგომბორის ქედს, გადალახავს ათობით საინჟინრო ნაგებობას, გვირაბებს, ხიდებს და სხვ. მაგისტრალური არხიდან, რომელიც გაიჭიმება რამდენიმე ათეულ კილომეტრზე, წყალი მიწისზედა არტერიებით და მიწასქვეშა დახურული მილებით მორწყავს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწებს. ნათესები და ბაღები მთის კალთებზე მოირწყვება გრძელჰავლიანი დანადგარებით.

ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა განხორციელდება ორ რიგად: პირველი — 41 ათასი ჰექტარისათვის, მეორე — 67 ათასი ჰექტარისათვის. მარტო პირველი რიგის სამუშაოთა მასშტაბზე, რომელიც უკვე წელს მორწყავს ათას ჰექტარ საკოლმეურნეო მიწებს, შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი ციფრებით: მშენებლები ამოიღებენ 25 მილიონ კუბურ მეტრ გრუნტს, ჩაწყობენ 613 ათას კუბურ მეტრ ბეტონსა და რკინაბეტონს, დაგებენ ასობით კილომეტრ ასბესტცემენტისა და ფოლადის მილებს.


საჭირო მასალებით მშენებლობის მოსამარაგებლად აშენებულია და შენდება რამდენიმე სპეციალიზებული საწარმო. თელავში, სადაც იმყოფება ტრესტი „ალაზანმშენი“, მალე გაჩნდება რკინაბეტონის ნაკეთობათა მძლავრი ქარხანა.

რას მოგვცემს ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა?

გაჩნდება ახალი ათასობით ჰექტარი ვენახები და ხეხილის ბაღები, გაიზრდება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა. იაფი ნედლეულის ბაზაზე კიდევ უფრო ფართოდ განვითარდება მეღვინეობა და საკონსერვო მრეწველობა.

ახალი არტერია ხელს შეუწყობს რაიონების კეთილმოწყობასაც. გუდრონიანი გზების ხშირი ქსელი დაფარავს ვეებერთელა ტერიტორიას, მოსახლეობა მიიღებს საუცხოო სასმელ წყალს და იაფ ელექტროენერგიას. სოფლებსა და მუშათა დაბებში დაგეგმილია საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო ბაღების, მაღაზიების, სასადილოების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატების მშენებლობა.

მორწყვა აღორძინებს, კიდევ უფრო მდიდარს გახდის ჩვენს რესპუბლიკას.



მიმდინარე წელს, შემოდგომაზე, შესრულდება 90 წელი მას შემდეგ, რაც დაიწყო ჭიათურის მარგანეცის მადნის დამუშავება. მემაღაროეები საქმიანად ემზადებიან ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად.

სულ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება ჭიათურა. ექსპლოატაციაში დგება ახალი საცხოვრებელი სახლები, ბაღები, ხეივნები, მოედნები.

ცოტა ხნის წინათ მდინარე ყვირილაზე ააგეს კაშხალი, რომელმაც გააღრმავა მდინარის კალაპოტი ერთი კილომეტრის მანძილზე. ახლა მდინარე ყვირილაზე შესაძლებელია ნაოსნობა.

სურათებზე: მდინარე ყვირილის ხედი ქალაქ ჭიათურის ცენტრში.



ქართული ენციკლოპედიის ახალმოსახლეობა

ოთხმოცი ათასზე მეტი სტატია მეცნიერებისა, კულტურისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან დაიბეჭდება „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, რომლის რედაქციამ ახლახან მიიღო ახალი ფუნდამენტური შენობა ვაკეში.

ახალ შენობაში მოთავსდა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგია და სპეციალური სამეცნიერო რედაქცია თავისი დარგობრივი და ფუნქციონალური რედაქციებით.

ქართული ენციკლოპედიის კოლექტივი ვარაუდობს პირველი ტომი წარმოებას გადასცეს 1970 წელს. იგი მზად იქნება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის.

სურათებზე: ქართული ენციკლოპედიის რედაქციის ახალი შენობა; მარცხნიდან მარჯვნივ — ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი თ. ხოშტარია, მთავარი რედაქტორი, პოეტი-აკადემიკოსი ირ. აბაშიძე და ლიტერატურული კონტროლის რედაქციის გამგე, პროფესორი შ. ძიძიგური განიხილავენ პირველი ტომის მასალებს.



ფერილი იტალიიდან

სიყვარულით იგონებენ

ახმეტა. ზაქრო ონიაშვილს პატიოსან, შრომისმოყვარე კაცად იცნობენ ახმეტაში. მაგრამ მხოლოდ შინაურთა ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი მისი ბიოგრაფიის ის ფურცლები, რომლებიც დიდ სამამულო ომთანაა დაკავშირებული.

...1942 წლის იანვარში ზაქრო ონიაშვილი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. კავკასიის მისადგომებთან მძიმედ დაიჭრა. განკურნების შემდეგ ჟიტომირთან იბრძოდა, მაგრამ ბედმა არც აქ გაუღიმა, ერთ-ერთ მძიმე ბრძოლაში ფაშისტებმა ტყვედ ჩაიგდეს რამდენიმე საბჭოთა მებრძოლი, მათ შორის ზაქროც.

საბჭოთა ჯარების გამარჯვებით შეშფოთებულმა გერმანელებმა ტყვეები პოლონეთიდან იტალიაში გაგზავნეს. იტალიელი პატრიოტების დახმარებით ზ. ონიაშვილმა ტყვეობას თავი დააღწია და პარტიზანებს შეუერთდა. იტალიელები მას „სულიკოს“ ეძახდნენ.

ომი დამთავრდა. ზაქრო ონიაშვილი მშობლიურ კერას დაუბრუნდა და მშვიდობიან შრომას შეუდგა. ამჟამად იგი ახმეტის ერთ-ერთი საწარმოს ცეცხლფარეშად მუშაობს.

ამას წინათ ახმეტის სამხედრო კომისარიატში მოვიდა წერილი, რომელსაც ხელს აწერს იტალიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი სექცია. წერილი ეხება რუსი პარტიზანების, მათ შორის სულიკო (ზაქრო) ონიაშვილის ბრძოლებს აპენინის მთებში. თანამებრძოლები მას სიყვარულით იგონებენ, როგორც მამაც მეომარს.

საბაგირო გზით, გადაუჯდომლად

სწრაფი ტემპით შენდება ახალი საჰაერო-სამგზავრო საბაგირო გზა, რომელიც სიღნაღს დაუკავშირებს დაბა წნორთან. უკვე აგებულია ზედა და ქვედა სადგურები. ტრასის სიგრძე ოთხნახევარი კილომეტრია. საათში ვაგონეტები გადაიყვანენ 360 კაცს. „საჰაერო ტრამვაის“ თავისებურება ის არის, რომ იგი მგზავრებს ერთი სადგურიდან მეორეში გადაუჯდომლად მიიყვანს თორმეტ წუთში.

ამ ბოლო დრომდე ორ კილომეტრზე მეტი სიგრძის საბაგირო გზებზე შენდებოდა შუალედი გადასაჯდომი სადგურები. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მრეწველობა არ უშვებს მეტი სიგრძის ბაგირებს, ხოლო სამუხრუჭე (საპარაშუტო) მოწყობილობათა არსებული კონსტრუქცია არ იძლევა საშუალებას შეუფერხებლად გადალახოს შემაერთებელი რგოლები.

საქართველოს შახტების მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის საბაგირო გზების მთავარმა სპეციალისტმა ვახტანგ ლეჟავამ შექმნა სამუხრუჭე მოწყობილობის ახალი სისტემა. მისი გამოყენების შემდეგ საჭირო აღარ არის გზის გაყოფა რამდენიმე ცალკე უბნად, მოძრაობა შეუფერხებლად წარმოებს, იზრდება ძვირადღირებული წამყვანი ბაგირის სამსახურის ვადა, რადგან დამუხრუჭება ხდება უკვე დამხმარე ბაგირზე, წინასწარი გამოანგარიშებით, ვ. ლეჟავას გამოგონება მარტო ერთ საბაგირო გზაზე ზოგავს 300 ათას მანეთზე მეტს.

იზრდება სართულები

თბილისში ვაკის პარკის გვერდით აღიმართა კარკასიანი რკინაბეტონის ელემენტების 19-სართულიანი შენობა. ამ შენობაში წელს გადავა საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის კოლექტივი. ახლა გამდინარეობს უკანასკნელი სართულის გადახურვა, პარალელურად წარმოებს მოსაპირკეთებელი სამუშაოები. ქვედა სამ სართულში მოთავსდება ფოტოპირგადამღები, დამხმარე სათავსები, დანარჩენ სართულებში განლაგდებიან განყოფილებები და არქიტექტურული სახელოსნოები, არშივი, ბიბლიოთეკა, ფოსტა-ტელეგრაფი, საგამომცემლო დარბაზი. ინსტიტუტის შენობა მოპირკეთებული იქნება ეკლარის თეთრი ფილებით.

ინსტიტუტის გვერდით შენდება ოთხსართულიანი ავტოსადგომი. მისი ორიგინალობა ის არის, რომ იგი მიწისქვეშ იქნება. უკვე აიგო თითქმის 50 მეტრი სიგრძის მიწისქვეშა მისასვლელი, რომლითაც ყიფშიძის ქუჩიდან მანქანა ერთბაშად მოხვდება სადგომის მესამე სართულზე.

„რიონი“ — სამჯერ მეტი

ქუთაისი. ქუთაისის მცირეგაბარიტიანი სატრაქტორო ქარხნის კოლექტივმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაადიდა ტრაქტორების გამოშვება.

სსრ კავშირის სატრაქტორო და სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის მრეწველობის სამინისტრომ დაამტკიცა ქუთაისის მცირეგაბარიტიანი სატრაქტორო ქარხნის რეკონსტრუქციის გეგმა. ახლა მომავალი ქარხნის რეკონსტრუქციის პროექტს ადგენს ხარკოვის „გიპროტრაქტოროსელხოზმაში“.

რეკონსტრუქციის შემდეგ ქუთაისის სატრაქტორო ქარხანა გამოუშვებს სამჯერ მეტ „რიონს“ და ამასთან დაიწყებს სხვადასხვა ტიპის ტრაქტორების წარმოებას.

ილია რურუა

ლაკოს ოსანდასი

ჟოთხროაა

7.

ეს არაკი მისთვის მოგახსენე, ცნა ფასი იმისა, ვისაც ემსახურები ეგვეთის ერთგულებითა.

ყილზე მობჯენილი ბრაზი ბეგმა ძლივს ჩაყლაპა:

— ჯიუტობა რას გვარგებს.

— თითო თითოდ დავგლეჯოს მტერმა მაშინ, თავიც მოსთხაროთ და მოყვარეცა...

— სამკვიდრებელი ჩემი, საბადებელი ჩემი გადარჩეს ოღონდ, რჯული რა ყოფილა...

— ჩემოდენი ჭირი და ლხინი, უცხო თემი, საკვირველნი საქმენი არავის უნახავან... დამეჯერების, შვილო ჩემო!.. — საბას ხმა თითქოს უფრო მოლბა. — საქართველო რომ სულ შედრკეს უცხო რჯულის წინაშე, აღარც შენ გინდომინ, აღარც შენი სამსახური, აღარც შენი ერთგულება... ქრისტიანად გამოგაცხადონ, მოგაქციონ... რადაო, გინდა მკითხო.. იმად, რომ ქართველი ტომის გარეშე მონით ვეღარ ივაჭრონ... ჯერეთ ეჭირვები, იმად გელიზღებიან.. ბედი უკუღმა დაგვრეხია, შენს ძმას მტრად გადაჰკიდიხარ, რათ არ გესმის?

— მე მტერი არა ვარ.

— მტრობა შენი დაფარული არს მხოლოდ. ფარული და მცირე მტრობა უფრორე საზიანოა. იგი ცეცხლსა ჰგავს ნაცარში დამალულსა. არ ჩანს და რა განჰქრ, ხელთ დაგწვავს.

— მტრობას ტყუილად მწამებთ.

— ვინცა წვავ მცირედისათვის, გინდ მეზობელთ შურისათვის, გინდ საბადებლისათვის, ვინც იხილა მდიდრისა ვისიმე სამოსელი ბრწყინვალე, სტავრა ან ოქროსქსოვილი და შურისაგან აღივსო, მტერია. დაიწყებს ანგარებით და დაასრულებს ცოდვითა და უსჯულოებითა.

— არს კი ღონე, არ ვემსახურო?!

— არცა რაი ჯერეთ... ოღონდ ნუ იქნების იგი სამსახური მონისა. ხონთქრის სამსახურში აბაშიძენიც მინახავან, მაგრამ არ დაუკარგავთ მამულიშვილობა, სიქველე და გონიერება ქებული, არ გარდაგებულან... შენში სწორედ ის წარხოცილა, რასაც ყველაზე მეტად უნდა უფრთხილდებოდეს კაცი. მრავალ მინახავან მე, ბეგო, სიტყვით მეგობარნი. მათ ოდეს იხილონ უსჯულონი, წამსვე მათსავე ზედა მოიქცევიან. დროა იფიქრო, განშორდე ჯოჯოხეთის ცდუნებას.

აბაშიძეების ქეშმა გააცეცხლა ბეგი. ამას სხვებიც აყვედრიდნენ ჩუმ-ჩუმად. არავის სწამდა ბავშვობიდანვე მტრის კარზე გაზრდილის, სულით და ხორცით გადარჯულებულის ქართველობა. მიხვდა, ამ გულთამხილავ მოხუცთან ფუჭი იყო რისიმე დაფარვა, მიხვდა და გამომწვევად აიღო თავი:

— მე შვილი ვარ სასუფევლისა. არც განკითხვის მეშინის.

— როგორ? — ასეთ პირდაპირობას საბა არ მოელოდა.

— ოდეს ქრისტე მეორედ მოვა, — გაიცინა ბეგმა, — უკეთუ იგია ძე ღვთისა და მაცხოვარი სოფლისა, ვაჩვენებ შუბლსა მირონით აღბეჭდილსა და თუ მაჰმადი უდიდებულეს არს, ვაჩვენებ წინდაცვეთილობასა. ან ერთი ამიყვანს ზეცად, ან მეორე.

— ვაი კაცსა, რომელიც ორ ღმერთს ემსახურება! — შეაძრწუნა საბა ბეგის გულახდილობამ. — ორგულობს და არცა ნანობს. გახსოვდეს, ბეგო: ავსა და კუდ საქმეს ბოლო მოკლე და სანანი აქვს, კარგსა და სამადლოსა დაულევილი საუკუნიმდის...

ჩამოვარდნილი დუმილი ისევ საბამ დაარღვია:

— უკეთუ მონათაგანი ვინმე წარგივიდეს და მიუვიდეს მტერთა თქვენთაგანსა, იხილე, რაისა გულითა იქნები მას ზედა. შენ აწცა ორგულობ და არა ინანი. ყოველი მსგავსი შენი უარესსა იქმს, რამეთუ არ ეშინია ღვთისა და არცა სცხვენის კაცთა.

შემოვიდა მსახური:

— ალი-ბეგის კაცი გეწვიათ, დიდო ბეგ!

კარებში გამოჩნდა ახოვანი, ბეჭებგანიერი ვაჟკაცი. ქართულ ქულაჯაში გამოწყობილს, მხრებზე აბრეშუმის ხალათი მოესხა. წელში მოდრეკით დამხვდურთ მდაბალი სალამი უძღვნა და წარმოთქვა:

— ალი-ბეგ ფრიად ესწრაფვის თქვენს ნახვას, ბატონო... ესეცაა შემთხვევით გაიგო თქვენი ჩამობრძანება და აღარ დააყოვნა. გთხოვათ ეახლოთ და თქვენი სტუმრობით ასიამოვნოთ.

საბას ეგონა, ეს სიტყვები გონიის ბეგისადმი იყო მიმართული. მაგრამ არა, ახალმოსული თვალებში შეჰყურებდა მას.

— ალი-ბეგ?! — გაკვირვებით წარმოთქვა საბამ.

— ახალციხის ფაშის დისწული ბრძანდება, — უხალისოდ განუმარტა ბეგმა.

ახლა მოაგონდა:

* დასასრული. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 7, 1969 წ.

8.

როცა ნაზარალიხანისაგან დევნილი საბა ახალციხეს აფარებდა თავს თავისი სიმამრის — ახალციხის ფაშა-ათაბაგის სასახლეში, იქ ერთი ჭაბუკი იყო. ალექსანდრეს ეძახდნენ.

ის თუარა, გაიფიქრა საბამ და კვლავ მაცნეს თავი დაუკრა.

ადვილი როდი აღმოჩნდა გონიის ბეგის კლანჭებიდან თავის დაღწევა.

ჩხალაში ღამენათევთ, დილით უნდა განეგრძოთ გზა არტანუჯისაკენ, რომ თავზე ბეგი წამოადგათ.

გულმა რეჩხი უყო საბას: ალბათ ალი-ბეგ უკვე სტამბოლს წასულა, რაკი ეს რჯულგარეცხილი უკან გამოგვდევნებიაო. ოთხმოცი მარჩილი, საბასთან ერთად სტამბოლიდან მომავალი ბურსელი ვაჭრის აივაზა ჩალაბის რჩევით რომ აჩუქეს ბეგს ხოფადან გამოსვლის წინ, წყალში გადაუყრიათ.

ისევ ჭირვეულობა დაიწყო: ფრანგებს ვერ გავატან, მაგათზე ხვანთქრის ყადაღა არისო.

არც კი ინდომა ყურში შეეშვა საბას შეგონება: უცხო ტომის ხალხია სტუმრები, მათი გაცემა რა საკადრისიაო.

იანიჩრებს კვლავ აკლებინა ბარგი, კარავი და მოფენილობა. შემდეგ ყველანი გონიისაკენ გაირეკეს ქვეითად.

საბას ცხელებამ გაუხსენა.

ძლივს მიაჭენდა დაოსებულ-დამძიმებული ფეხები დაუსრულებელ აღმართზე. ერთხელ შეასვენეს მხოლოდ. ისიც იმიტომ, ტყვეებისათვის უფრო გულმოდგინედ გაეჩხრიკათ უბეები. საბას უკანასკნელი სამოსი ფლურიც წაართვეს.

მაინც მადლიერი იყო, რაკი ლექსიკონი შეარჩინეს. დროზე რომ არ მოესაზრებინა და ხანდუკიდან არ ამოეღო, ვინ იცის, რა ბედი ეწეოდა მის ნაღვაწს.

ნაშუადღევს აივაზა ჩალაბი წამოეწიათ.

მოხუცის საცოდაობას რომ შეხედა, ბეგს გულფიცხად შეუტია:

— ვისა ჰკლავ, შენ ეგ ვინა გგონია, რას გიზამენ, არ იცი?!

— ვიცი, ვინც არის! — უკმეხად უპასუხა ბეგმა.

ჩალაბმა მაშინვე ისევ ნაცად ვაჭრულ ხერხს მიმართა: ოთხასი მარჩილის ამოტანას დაჰპირდა საღამომდე.

ბეგი სიტყვას არ ერწმუნა, მძევლად საბა და გურიიდან გადმოსული, წინა დღით შეპყრობილი კანდელაკი დაიტოვა, კაპუცინები კი იანიჩრებს გაატანა.

მტანჯველ მოლოდინში შებინდდა კიდეც.

ჩალაბი კი არ ჩანდა.

ბეგმა უპირობა შესწამა. ტყვეებს ხელები შეუკრა და ისევ გონიისაკენ გაუძღვნენ გზას.

ისეთი ნისლი ჩამოწვა, ორ-სამ ნაბიჯზედაც ძნელი იყო რისიმე გარჩევა.

წამოვიდა ხშირი წვიმა.

და ეს სულა ბნელში მოხუც საბას აგონებდა ბედკრული საქართველოს გზას.

არ უჩანდა ბოლო ტანჯვის ამ გზას. გზაც აღარ ეთქმოდა უკვე. ურიცხვი ჭრილობიდან მოთქრიალე სისხლისა და მდუღარე ცრემლის ერთიანი მდინარე მიედინებოდა ზედ; მიედინებოდა მრუმეში ჩაძირული ნაპირისაკენ, ერთვოდა შავი ზღვის ტალღებს, რწყავდა სპარსეთის ხრიოკ, ხარბად პირდაღებულ უდაბნოებს... და ვიღაც მეზღაპრის მიერ ღვთისმშობლის წილხვდომილად გამოცხადებულ მიწაზე ჟღვთო ხელი განუკითხავად ჰკლავდა, წვავდა, აოხრებდა... ტანჯული მიწიდან ასული შემზარავი გოდება თავისი ქედუხრელობით საკვირველი ხალხისა ვეღარ დატეხლილყო მშობლიურ ცის ქვეშ, მწუხარე ექოდ ხმიანობდა ისპაჰანისა და სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე, შორეული მალტის, მესინის, ლოკარნოს კედლებთან...

მთელი ევროპა შემოიარა საბამ. ფეხი ვერსად დაადგა ისე, რომ არ წაწყდომოდა ნაცნობი, მშობლიური თვალების მუდარით სავსე მზერას, სასოებით გამოწვდილ, საშველად გამოწვდილ ხელებს.

თავად უსასოოსა და უმწეოს უცხოობაში, რითი უნდა ეცა ნუგეში შვილებისათვის, რითი უნდა დახმარებოდა...

ისევ დუმილით უნდა ეტარებინა ტკივილებით დამძიმებული გული, მიუალერსებლად უნდა გასცლოდა საკუთარი ხორცის ნაწილს, როგორც ეკალ-ბარდზე შერჩენილ სამოსის ნაფლეთებს...

და სულში დაუსრულებლად კვნესოდა შეუსმენელი მუდარა, გულში ბორგავდა გაუმჟღავნებელი ალერსი. ტუჩებზე თრთოდა უთქმელი ნუგეში...

ხვედრი კი მათი იყო ნამდვილად უწყალო, ხვედრი ჰარამხანის მხევლებისა, ძალად ვნებაგამოწურულ საჭირისებისა, გულგამურდლებულ იანიჩრებისა.

ზოგს იმასაც არ აღირსებენ: ბოკვერს, ხვადად დაბადებულს, ძალით დაადგდლებენ, გაათუქსუსებენ. როცა გონს მოვა, გული საგულედან ამოცლილი ექნება, კაცობა წართმეული. და მის სულს შესჩივლებს, დაღრღნის უაზრო არსებობის, ყოვლისადმი განურჩევლობისა და ზიზღის სპლინი. იმის ძალაც არ ექნება, სიკვდილი ინატროს და ეს ნატვრა აისრულოს.

შავია და უიმედო ხვედრი მათი.

ვერც კი წარმოიდგენენ, ვიდრე არ გამოცდიან.

და საბას აგონდება სულ ახლახან გარდახდომილი ამბავი. მეხომალდიმ საბა თავისი თანამგზავრებით სტამბოლიდან სამშობლოში რომ უნდა მოეყვანა, შუა გზაზე დაჰყარა ისინი — გურჯისტანში შფოთია, ხომალდს ვერ წავიყვანო.

რა უნდა ეღონათ!.. ნავებით განაგრძეს გზა. ერთ ნავში აივაზა ჩალაბი და მისი ამხანაგები ჩასხდნენ, მეორეში საბა და პატრები. წამოვიდნენ ნაპირ-ნაპირ. შემდეგ ზღვა აუღელდათ და ნავები ერთმანეთს მოსხლტნენ. სწორედ ამ განსაცდელის ჟამს გახდა საბა მოწმე საქართველოს ბედკრული შვილების შემაძრწუნებელი თავდადებისა. თურმე იმერეთიდან გამორეკილმა ტყვეებმა დაინახეს დასაღუპავად განწირული ნავი...

ჩვენს მოსაშველებლად გადმოეშვნენ ზღვაში, თავად მისაშველებელნი, დაღუპვისათვის განწირულნი. ზღვას გამოგვტაცეს, სიკვდილს გადაგვარჩინეს. როგორ აბეავლდნენ, როცა ქართულად მადლობა გადავუხადე. საღამას ძილიდან გამოერკვნენ თითქოს. საკუთარი მონობა მაშინ გაახსენდათ, როცა მათრახებით წამოსივნენ... არ ნებდებოდნენ, მილეწ-მოლეწეს მცველები, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდათ...

იქნებ უკვე მონათა ბაზარზე დგანან გატიტვლებულნი, დამცირებულნი.

დაჰყიდიან.

დააცალკევებენ.

ვეღარასოდეს აუბამენ მხარს ერთმანეთს.

ვერასოდეს მიაწვდენენ ხმას ერთმანეთს.

უცხო, ველურ ღრიანცელში ჩაიკარგება განწირული კივილი, სადღაც ჩაიფერფლება, ჩადნება მშობელთაგან გამოყოლილი მადლი და მარილი, დაიშრიტება ყოველი სიკეთე ადამიანური.

და გულქვა იანიჩრებად დაწვრთნილთ, ხელში ჩაუდებენ ბასრ ხმალს, ძაღლები-

9.

ვით დაგეშავენ და მიუსევენ მათსავე დამბადებელ მიწას. თან ეტყვიან: ეს არის შენი პირველი მტერი, გაუტეხელი მეურჩე. ამიტომ არ დაინდო — დაჰკარი, აკუწე, დაარბიე, ცეცხლს მიეცი, გადაბუგე...

და საბას გულში აბორგდა მშობლის დაგუბული ძახილი. მოესურვა გახმიანებოდა სადღაც მახლობლად, სიბნელეში მომავალ იანიჩრებს.

მაგრამ, როგორ?!

რა ენით?!

ვისი ენით?!

ლანდები იქცნენ უსახონი, მდუმარენი, პირჩუშნი.

და საბას ტუჩებზე გადაუარა რაღაც მდუღარემ, მარილიანმა.

გულს აღმოხდა ოხვრა.

ვინღაა მშვილელი?

ფრანცისის მეფე?!

რა ამაოდ დაშვრი!

განა ძალუძს გაიგოს სალმობანი ჩემი ხალხისა სვებედნიერ მეფეს საფრანგეთისას თავის უზრუნველ ყოფაში, ფუჭ დიდებასა, ოქროსა და თვალისმომჭრელ ბრჭყვიალებაში ჩაფლულს?! სიბერე ადარდებს მხოლოდ... როგორ გაუხარდა. რაცა თავისათვის ვუთხარი: თქვენი უდიდებულესობა ამ ასაკს ისე მოხდენილად ატარებს, ყველა ისურვებდა ამ ხნისა ყოფილიყო-მეთქი. სამაგიეროდ სახეზე ერთი ძარღვიც არ შეტოკებია, როცა საქართველოს ჭირ-ვარამზე ვუამბობდი...

იქნებ პაპი!

ნადიმზე თავად მემსახურებოდა... დამბანა ფერხიცა...

და მაინც სცივა შენი ხელით განბანილ ფეხებს, პაპო!.. არარად მაგდებს ხონთქრის ყურმოჭრილი მონა. უფლებააყრილი, დამცირებული მივაბიჯებ ჩემსავე მიწაზე. წინ კიდევ რამდენი რამ ელის! ქართველნი სამღვდელონი და ეპისკოპოსნი გამომტერდნენ. კათოლიკედ რად მოიქციო. მეგონა, ამით რასმე ვარგებდი ერსა ჩემსა.

ჩანს, სულ ამაო იყო ყოველივე ესენი, ფარისევლური სამსახური შენი, პაპო!

ცბიერი იეზუიტები, მშიშარა და დამთხვეული კაპუცინები იხსნიან საქართველოს?!

ამაოდ დაშვრი, საბა!

რა მიგაქვს შენს გაზრდილ გონებანათელ ვახტანგთან?

მხოლოდ იმედის გაცრუება და სასოწარკვეთა, მხოლოდ ვარამი და ქვიშასაჯიო გამრავლებული ტანჯვა!

რა დარჩა მრავალ იმედთაგან, ურიცხვ აღთქმათაგან?

აღარაფერი!

მარტოოდენ ეს წიგნი, უბით ნატარები.

ისიც ჩემმა ერმა გამატანა თან.

მე მხოლოდ გავაწყვე, შევკონე, ავკინძე.

იქ, სტამბოლში, სამშობლო ჩემო, ხალხო ჩემო, მინარეთების ტყეში, ღამეებს ვუთევდი მას.

ვინ მოიხმაროს იგი, თუ მოისრას ნათესავი და თესლი ჩემი, თუ მტრებმა სულ გაალაგონ საქართველო?!

ვინ დაიფაროს ქვეყანა ჩემი, ხალხი ჩემი?

ვინ არის მწყემსი კეთილი?

იქნებ შეცდი, საბავ, შენს სიბრძნეს ზედმეტად დაეყრდე!..

იქნებ სხვა მხარეს უნდა გეძებნა ხსნა და იმედი?!

სიბნელეს ერთბაშად რაღაც მკრთალი ნათელი გადაედო თითქოს.

და საბას მოეჩვენა, რომ წინ გაშლილიყო ვრცელი, უსასრულო, თოვლით დაფარული ველი.

ტერფებმა ქავილით აგრძნობინეს მომავალ ახალ გზათა სიგრძე-სიმორე.

ქვემოთ მართლაც სინათლე აკიაფდა. შემდეგ ცივი ბზინვით აიმართნენ წვიმით გალუმპული შავი ქონგურები.

— გონიო!

მამლები ყივილით ამცნობდნენ განთიადის მოახლოებას.

* * *

ვიღაცამ ხელები შეუხსნა, გამოაღვიძა:

— ცხენები გამოგიგზავნეს, ეფენდი... აბრძანდით!

საბა ნელ-ნელა გამოერკვა: „აივაზა ჩალაბის წყალობა იქნება უთუოდ. ავთანდილსა ჰგავს ეს კაცი. უცხო ჯურისა კია, მაჰმადიანი. რამდენი გაისარჯა, რამდენი დაიხარჯა. კეთილი კაცი ყველგან კეთილია“.

ისეთი შავი ღრუბლები დასწოლოდა მიწას, სხივი ვერ ატანდა. გათენებულს არ ჰგავდა.

წვიმდა გადაუღებლად.

სადღაც ახლოს ზღვა ღმუოდა.

— ეფენდი, ერთ კაცს თქვენი ნახვა უნდა... აქეთ მობრძანდით!

ვიღაც ოთახიდან გავიდა, ვიღაც შემოვიდა.

— თქვენზე ამბობენ, ბატონო, — დაიწყო უკვე სხვა ხმამ, — დიდი ნასტავლი კაცია, ქართველთა მეფის ვაზირიო...

საბა ყურადღებით ათვალიერებს შუახნის შეჭაღარავებულ კაცს შავ ჩაჩურაში, თავზე ყაბალახწაკრულს.

გვერდით ბიჭი უდგას.

— მე, ბატონო, სურმანიძე ვარ ილიასა, სხალთიდან.

— ეს ბიჭი ვისია?

— ჩემი, ბატონო.

— კარგი ბიჭი გყოლია. — საბამ ბიჭს თავზე გადაუსვა ხელი, მკლავი მოჰხვია. — ქართული ხომ იცი?

— ჰელბეთ ვიცი, — თავი ჩაღუნა ბიჭმა.

— რას ბრძანებთ, ბატონო! აკვნის ენის დავიწყება იქნება? აბა, ჰო, ერთი ღეჭისი უბრძანე. გინდა, ბალაძეების ლეჭსი რომაა, ის...

10.

— ბალაძეების რად იქნება? — იწყინა ბიჭმა. — დედა ამბობს, ჩვენზეა ნათქვამი, დევაძეებზეო.

— ჰელბეთ, ჰელბეთ! — ერთბაშად დაეთანხმა ილიასა.

ბიჭმა კარგა ხანს ვერ დაიწყო, ბოლოს მაინც სძლია სიმორცხვეს, ბავშვურად, მაგრამ მკაფიოდ ჩაარაკრაკა:

სამმა ძმამა დევაძემა
ზარზმას დადვა ბალავარი, —
ვინც თორმეტი ჩამოიღებს,
იგი არის ფალავანი.

— დამბადებელიცა შენი კურთხეულ იყოს, შვილო, — დალოცა საბამ. — სვემცა შენი ბედნიერი, გვარიმცა შენი დაულეველი! — შემდეგ ღიმილით დაუმატა: — ეგ ლეკსი მე სურმანიძეებზე გამიგონია.

ბიჭს თვალები გაუბრწყინდა.

— ხომ გაიგე, მამამ რა თქვა? — საბამ ბეჭებზე მიუთათუნა ხელი. — დედის ენა არ დაიგდებისო... მუდამ გახსოვდეს ეს სიტყვები. — შემდეგ ილიასას მიუბრუნდა. — გონიოში რაზედ ჩამობრძანებულხართ?

— ბუხრის ოსტატი მინდა კარგი. აქ ძალუანი უსტებია. ასეთ შავ დროში სახლის აშენება რაფრა იქნება. მარა ბაღვებს გომურში ვერ გამოვამწყვდევ მტრის ჯინაზე... ტყე ჩვენთვის მოუცია ღმერთს და ხელი. ჰელბეთ ახლა რაზე შეგაწუხეთ, ეფენდი ბატონო. ქალაქში რომ ჩაბრძანდებით, ერთი ისეთი ვინმე გვაახლეთ სხალთაში, წიგნი იცოდეს... ერთგან გადამალული გვაქვს.

სიხარულისაგან კინაღამ სული შეეგუბება საბას.

— ბერძის ქალმა კი მისწერა გურიელის ქალებს მათებური, დედაბრული ხელით, — განაგრძობდა ილიასა დინჯად, — მარა აქამდე არავინ ამოსულა... ცოდვაა, ჩალპება იქ.

საბამ უნებურად ტახტზე მიძინებულ კანდელაკს გადახედა: „იქნებ მაგ საქმეზე მოეშურებოდა აქეთ. ვერაფრით ვერ გამოტეხა ბეგმა. აწი რაღას გააწყობს, მტრის ხელში ჩავარდნილი... დავიხსნიდე მაინც!“

— ბევრია?

— ჰელბეთ! ერთი ურემი იქნება. ბაბუასაგან გამიგია, ერთი ამდენი მომხდურებმა დასწვეს და სხალთის წყალში ჩაყარესო. ყდები სულ დააღლიტეს თურმე, ქალამნებად და ცხენის მოსართავებად დუჭრიათ.

— როგორ უნდა მოგაგნოთ მერე იმ კაცმა?

— ჯიქურაი ილიასა კითხოს ბაღვებს. ზედ სხალთის ეკლესიასთან ვცხოვრობ, მარნის ძირში. მე თვითონ გავუტარ ხურჯინებით...

საბას თვალებზე ცრემლი მოაწვა:

— გმადლობთ, კაცო, საუბარკეთილო! — შემდეგ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: — ასეა... კეთილი ხე კეთილს მოიბამს!

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო! — კართან ილიასა ისევ მობრუნდა. — ჩვენს მეფეს უთხარით, ბატონო, აჭარელის ქართველობას ზადი არა აქვსთქვა... მტერმა ვერ გადაგვარჯოლოს. ჰელბეთ გაისარჯოს და მალე მოგვეშველოს!

. . . . . .

იჯდა თეთრ ცხენზე და ელოდა, იანიჩრის ბრძანებას ელოდა დიდი ქართველი კაცი.

წვიმასაც ვერ გრძნობდა.

მთელი მისი ფიქრი იმ წიგნებს უტრიალებდა, სადღაც აჭარულ სოფელში რომ გადაენახათ მამულიშვილებს. იმ სანუკვარ წიგნსაცავად დაიგულვა იგი, აქამდე რომ ეძებენ საქართველოში და ვერ უპოვნიათ; იმ საგანძურად, ბნელით მოცული, შეუვალი დუმილით მოცული საუკუნეების მრავალ ამბავს რომ ინახავს, შუბლნათელ მწიგნობართა და პოეტთა მაღალ აზრებსა და გრძნობებს...

კვლავ თვალწინ ედგა ილიასა თავისი დარბაისლური მიხვრა-მოხვრით, ესმოდა მისი დინჯი, აუღელვებელი ხმა, მისი უბრალო სიტყვები.

სიტყვები!

ის როგორა თქვა ბავშვზე? პირველად გავიგონე. სიტყვის კონაში არა მაქვს შეტანილი. რა სიტყვა იყო? ნუთუ დამავიწყდა?

უცებ უნაგირზე შეჭახდა, კინაღამ ცხენიდან გადავარდა. იმავ წამს რაღაც გაიაზრიწა და საწვიმრით ხმაურით შემოეძარცვა, ჰაერში შეფრიალდა.

ცხენი რომ დაშოშმინდა, მერე მიხვდა რაც მოხდა: საწვიმური იანიჩარს ეჭირა, თავის უბელო ცხენს აფარებდა სველ ზურგზე.

საბამ ვერ შეამჩნია, უბიდან როგორ გადმოუცურდა წიგნი.

სამაგიეროდ აივანზე მყოფთ კარგად შეამჩნიეს.

ილიასას ბიჭი შეტოკდა.

წიგნი კი ეგდო ტლაპოში, იანიჩარის ცხენის ფეხებთან. ერთი განძრევა და...

გადაშლილი წიგნის ფურცლებს ქარი აფრიალებდა. ზედ წვიმის წვეთები ტყლაშუნობდნენ...

საბას დაცარიელებულ უბეს თითქოს უხილავი ცეცხლი წაეკიდა. შეკრთა, უზანგზე წამოიწია, რომ...

ვიღაცამ წიგნი გამოუწოდა.

ის ბიჭი იყო, ილიასას ბიჭი!

— სალმობანი ჩემი წაგდგომოდეს სიკეთედ, შვილო ჩემო! — ჩურჩულით ილოცებიან ბაგენი.

კიდევ კარგა ხანს ჩანდნენ გზაზე.

ილიასას ბიჭი მარტო თეთრ ცხენზე მჯდომ მოხუცს ხედავს.


ბოლოს ისიც ნისლში ჩაიძირა, სულ ბოლოს.

რატომღაც გული დაწყდა, თვალები ცრემლით აევსო: ვერაფრით ვერ გაეგო. ამ თავსხმაში სად მიიჩქაროდა ეს მაღალი, თეთრწვერა კეთილი მოხუცი.

რა იცოდა მან: გზაზე მუდამ ვლიან ქარიშხალსა და ავდარშიც...

მხოლოდ რჩეულნი, მამაცნი, თავდადებულნი!


რესპუბლიკური ბიბლიოთეკა




მგოსნის სახელობისა

ქართველმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა გამოჩენილი ქართველი პოეტის იოსებ გრიშაშვილის დაბადების 80 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით თბილისის ძველ უბანში, ხარფუხში გაიხსნა მგოსნის სახელობის ბიბლიოთეკა - მუზეუმი.

სურათებზე: ბიბლიოთეკა - მუზეუმის შენობა (ზემოთ, მარჯვნივ); ბიბლიოთეკა-მუზეუმის ორი კუთხე.





ქართველ ფსიქიატრთა დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევები

მრავალი ფენილა სწავლობენ

შიზოფრენია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფსიქიკური მოშლილობაა. სხვა დაავადებებზე უფრო მეტად იჩენს იგი თავს სულ სხვადასხვა და ხშირად პარადოქსალურად შეხამებული სიმპტომებით.

დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი ამ ავადმყოფობის მიზეზებზე. ზოგ მეცნიერს მიაჩნია, რომ იგი წმინდა ფსიქიკური წარმოშობისაა, სხვები (უმრავლესობა) მხარს უჭერენ ბიოლოგიურ თეორიას, რომლის თანახმად შიზოფრენია მოწამვლის (ტოქსიკოზის) შედეგია. გამოირკვა, რომ შიზოფრენიკთა სისხლში არის ბიოლოგიურად აქტიური ფაქტორი. მაგალითად, შიზოფრენიკის სისხლის შრატის მოქმედებით ნელდება თავკომბალას გადაქცევა ბაყაყად, ბარდა უფრო ნელა იზრდება, ხოლო ობობა თავისი ქსელის სტრუქტურასაც კი ცვლის.

მიუხედავად ამისა, თუმცა დავა გრძელდება, მედიცინამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ მძიმე დაავადებასთან ბრძოლაში.

მრავალი წელია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პროფესორ მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი სწავლობს ცვლილებებს, რომლებიც შიზოფრენიის დროს ხდება ტვინში, აგრეთვე სხვა ორგანოებსა და ორგანიზმის ქსოვილებში. თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერას, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის **ა. ზურაბაშვილის** ხელმძღვანელობით ქართველმა მედიკებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს შიზოფრენიის განვითარებისა და წარმოშობის მექანიზმების გამორკვევაში. ქართველ ფსიქიატრთა მოხსენებამ შიზოფრენიის ბიოლოგიური კვლევის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

საინტერესო შედეგები მიიღეს ტვინის პათოფიზიოლოგიისა და პათომორფოლოგიის განყოფილებათა თანამშრომლებმა. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატებმა ზურაბ და ზიგფრიტ ზურაბაშვილებმა, რ. მესხმა და ო. გორდელაძემ, მეცნიერმა თანამშრომლებმა რ. ახობაძემ, ნ. დარჩიამ და სხვებმა. მათ პროფესორების ბ. ნანეიშვილისა და ა. სიხარულიძის ხელმძღვანელობით, გამოიყენეს რა კვლევის უახლესი ელექტროფიზიოლოგიური, პათომორფოლოგიური, ჰისტოქიმიური და ელექტრონულ-მიკროსკოპული მეთოდები, დაამტკიცეს. მაგალითად, რომ შიზოფრენიით დაავადებულთა ბიოლოგიური სითხეები არსებითად განსხვავდება ჯანსაღ ადამიანთა ამავე სითხეებისაგან, კერძოდ, ავადმყოფებს შეცვლილი აქვთ ელექტრომუხტი და პლაზმის ზედაპირული დაჭიმვა, აგრეთვე სისხლის ისეთი ელემენტები, როგორიცაა ერიტროციტები და ლეიკოციტები. ავადმყოფის სისხლის პლაზმა მომადუნებელ გავლენას ახდენს თავის ტვინის სხვადასხვა სტრუქტურაზე.

კვლევის პროცესში მეცნიერებმა შიზოფრენიით დაავადებულთა სისხლში აღმოაჩინეს სეროვინინ-ნეიროჰორმონის შემცველობის მნიშვნელოვანი გადიდება, რომელსაც ახლა დიდ როლს აკუთვნებენ ტვინის მოქმედებაში.

ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენების მედიკებმა თვალი გაადევნეს ძაღლის ლეიკოციტების ბირთვების მნიშვნელოვან გაბერვას და უჯრედების დაჭიმულობას. ეს შემდეგ, რაც მათ შეუშხაპუნეს შიზოფრენიით დაავადებულთა სისხლი, ყოველივე ეს მოწმობს უჯრედის შიდა ცვლის დარღვევას. საინტერესოა, რომ უმცირესი ბიოფიზიკური დარღვევები პირველ რიგში ეხება უჯრედების მემბრანებს. ესე იგი წარმონაქმნებს, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ ენერგეტიკულ და ცვლის პროცესებთან. თავის ტვინში ამ პროცესების შეცვლაზე მიგვითითებს აგრეთვე მნიშვნელოვანი ძვრები ნეიროჰორმონებისა და ბიოგენური ამინების მუშაობაში შიზოფრენიის დროს.

ამრიგად, **ქართველმა მეცნიერებმა დაადასტურეს დებულება,** რომ შიზოფრენიის დროს ავადმყოფის სისხლს აქვს გარკვეული ბიოლოგიური (ტოქსიკური) თავისებურებანი, რომლებიც უფრო მკაფიოდაა გამოხატული დაავადების ადრეულ სტადიებზე.

ერთი ღვთი სისხლი

ორი მამაკაცი მიცოცავდა თიხნარ ციცაბოზე. ფეხი უსხლტებოდათ, ერთმანეთს ეჯიდებოდნენ, რომ არ ჩაცვენილიყვნენ, და როცა, როგორც იქნა ავიდნენ საუნ გორას მწვერვალზე და მზეს შეხედეს, ორივეს მკერდზე აელვარდა ოქროს ვარსკვლავი.

24 წლის წინათ, 1944 წლის 7 მაისს აი ასე ამოდიოდა მზე სევასტოპოლში. შემდეგ კი იგი გადაბუგული მიწის კვამლმა დაფარა.

სტალინგრადთან განადგურების შემდეგ ფაშისტები ფიქრობდნენ რევანშის აღებას სევასტოპოლში. „თავდაცვის ცისფერი ხაზი", რომელიც საუნ გორაზე გადიოდა მათი აზრით, გადაულახავი უნდა გამხდარიყო საბჭოთა მებრძოლებისათვის, ჰიტლერელები ვარაუდობდნენ იქ გაენადგურებინათ ჩვენი ცოცხალი ძალა და ტექნიკა. მთის კალთები დასერა სანგრების ოთხმა იარუსმა, საიდანაც მოჩანდა ქვემეხების ლულები, შვიდ კილომეტრზე გაჭიმულიყო მავთულხლართი, 36 ხანგრძლივი საცეცხლე წერტი და 27 სხვა წერტი აღჭურვილი იყო ტყვიამფრქვევებით და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებით, საუნ გორას ყველა მისადგომი დანაღმეს.

უფროსი ლეიტენანტის ს. ჩხაიძის ოცეული განსაკუთრებული ზღვისპირეთის არმიის ანაპის 414-ე წითელდროშოვანი ქართული დივიზიის შემადგენლობაში სევასტოპოლთან გავიდა ბალაკლავის გავლით, ხოლო ლეიტენანტ გ. ლეგუნოვის ასეული უკრაინის მეოთხე ფრონტის 51-ე არმიის 257-ე დივიზიის შემადგენლობაში საუნ მთას მიუახლოვდა მაკენზის მთების გავლით. რა იცოდნენ ეაშენ ახალგაზრდა ოფიცრებმა, რომ ბრძოლაში შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

დილის ათ საათზე დაიწყო ჩვენი ბატარეების საარტილერიო მომზადება. მალე საუნ გორა გიგანტურ ჩირაღდნად გადაიქცა. მოგვიანებით გამოიანგარიშეს, რომ თითოეულ კვადრატულ მეტრ მიწას დაეყარეს 2,8 ტონა ლითონი. მაგრამ გერმანელთა გადამღობი ხაზები კვლავ ცეცხლს აფრქვევდნენ. ცეცხლმოდებულ მიწაზე მიცოცავდნენ მებრძოლები მაღლობის საიერიშოდ. და სწორედ აქ, წუთიერი შესვენების დროს ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ სერგო ჩხაიძე და გრიგოლ ლეგუნოვი.

— სადაური ხარ, ძმაო?

— საქართველოდან, მახარაძიდან. ალბათ, გსმენია?

— როგორ არა! ჩვენ ხომ ძმები ვართ!

მაგრად გადაეხვივნენ ერთმანეთს ახალგაზრდა ოფიცრები და კვლავ ეკვეთნენ მტერს. საუნ გორას იერიშის დროს უმცროსი ლეიტენანტის სერგო ჩხაიძის მეტყვიამფრქვევეთა ოცეულმა 350 ფაშისტი მოსპო. ამ გმირობისათვის სამშობლომ ოცეულის მეთაური დააჯილდოვა საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავით.

ჯერ კიდევ 1938 წელს ჩაისახა მეგობრობა საქართველოს მახარაძის რაიონისა და უკრაინის ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის მშრომელებს შორის. ომის ძნელ წლებში გამოვლილი მეგობრობა ახალი ძალით განვითარდა მშვიდობიან წლებში. 1957 წლის წინა დღეებში მახარაძელებმა სტუმრად მიიღეს გენიჩესკელთა დელეგაცია. მასპინძლები და სტუმრები აჯამებდნენ შეჯიბრების შედეგებს, სახვდნენ ახალ მიჯნებს. საღამოს კი, საახალწლო ვახშამზე შეისვა განმათავისუფლებელი მეომრების საღღეგრძელო. და როცა ფეხზე წამოდგა ოქროს ვარსკვლავით მკერდდამშვენებული სერგო ჩხაიძე — სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ჯმუხი ქართველი, დაფიქრებით შეათვალიერა ერთ-ერთმა გენიჩესკელმა კოლმეურნეობა „საქართველოს" თავმჯდომარემ გრიგოლ ლეგუნოვმა და რაღაც ეცნო ეს პირქუში კაცი.

დიახ, ის იყო, უცნობი მახარაძელი, ოცეულის მეთაური! რა ამბავი დატრიალდა! ამ შეხვედრის მოწმენი საიდუმლოდ გვეუბნებოდნენ, რომ იმ ღამეს არაერთხელ მოსდგომია ცრემლი ორ ვეუკაცს...

სერგო ჩხაიძე ახლა ჩაის ფაბრიკის დირექტორია მშობლიურ ნაგომარში. ფაბრიკა განთქმულია კარგი ხარისხის პროდუქციით, მას დღენიადაგ იხსენიებენ საქართველოს ჩაის ტრესტის მოწინავე საწარმოთა შორის.

გრიგოლ ლეგუნოვს კარგად იცნობენ არა მარტო ხერსონის ოლქში, არამედ მთელ უკრაინაშიც. უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, ლეგუნოვი ხელმძღვანელობს აზოვისპირეთის უდიდეს მეურნეობას — ცნობილი თავრიდული პურის მწარმოებელს, კოლმეურნეობა „საქართველოს". ყოველწლიურად ჩონგარელები (მეურნეობა მდებარეობს ჩონგარის ყეელის წმიდათა წმიდა მიწაზე, რომელიც უხვად არის მორწყული სამოქალაქო და დიდი ომების გმირთა სისხლით (სახელმწიფოს აძლევენ 150 ათას ცენტნერ მარცვლეულს, 45 ათას ცენტნერ რძეს, 7 ათას ცენტნერ ხორცს, 1.100 ცენტნერ მატყლსა და ბევრ სხვა პროდუქტებს.

შარშან ოქტომბერში ხერსონის ოლქში იყო მახარაძის რაიონის წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელიც იქ ჩავიდა მეგობრობის 30 წლისთავის დღესასწაულზე. კვლავ შეხვდა ერთმანეთს ორი გმირი, ორი ძმა. არა, გულს მხურვალება არ მოკლებია. ნაჭრილობევ ვეტერანებს უხმობენ ის ადგილები, სადაც ბევრი ამხანაგი გმირულად დაეცა. და იმ პირველი შეხვედრიდან, 24 წლის შემდეგ ისინი კვლავ მოვიდნენ სევასტოპოლის წმიდათა წმიდა მიწაზე, სადაც თითოეული სახლი, თითოეული ქვა იმ ფიცხელ ბრძოლებს ადგონებთ.

— ბევრი სისხლი დავღვარეთ აქ, — ჩაფიქრებულმა წარმოთქვა გრიგოლ ლეგუნოვმა.

— დაე კიდევ თითო წვეთი დაიღვაროს, — გაეპასუხა მეგობარს სერგო ჩხაიძე.

და საუნ გორის წმიდათა წმიდა მიწაზე შესრულდა ძმადგაფიცვის ძველისძველი ჩვეულება.

— ძმობილი მყავდა, ახლა კი ღვიძლი ძმა მყავს! — სიხარულით შესძახა სერგომ.

ო. ზვიადაძე.

მეგობართა პოეტური ხმები

გულგარული პოეზიის ანთოლოგია ქართულ ენაზე

50 პოეტის შემოქმედება იქნება წარმოდგენილი თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგიაში, რომელსაც უშვებს სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". კრებულში პოპულარულ ავტორებთან ერთად შევა იმ პოეტების ნაწარმოებნი, რომლებსაც ქართველი მკითხველები ნაკლებად იცნობენ. ანთოლოგიაში დაიბეჭდება გიორგი ჯაგაროვის, დორა გაბეს, ვესელინ ხანჩევის, ათანას დალჩევის, ელისაბედ ბაგრიანას, ლილიანა სტეფანოვას, ნიკოლოზ კინჩევისა და სხვათა ლექსები. ანთოლოგიის შემდგენელი და მთარგმნელია პოეტი მ. მაჭავარიანი. მან თანამედროვე ბულგარულ პოეზიას უწოდა საინტერესო აზრისა და მხატვრული განსახიერების პოეზია. მასში შეხამებულია კლასიკისა და თანამედროვე რეალისტური ლიტერატურის ტრადიციები.

— ბულგარეთის თანამედროვე პოეზია ძალზე თავისებურია, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს მ. მაჭავარიანმა. — ახალგაზრდათა ნაწარმოებები გამოირჩევა თავისებური სტილით, ახალი ფორმების ძიებით, მხატვრულ სახეებში ისინი ხშირად მიმართავენ იუმორს. თარგმანებში ვეცადე შემენარჩუნებინა დედნის ხატოვნება, გადმომეცა ლექსის გამომსახველი რიტმიკა.

ბულგარეთის თემას თვალსაჩინო ადგილი უკავია მ. მაჭავარიანის შემოქმედებაში, რომელიც ორჯერ ესტუმრა თავის ბულგარელ თანამოკალმეებს. ამ მოძმე ქვეყანაში მიღებული შთაბეჭდილებანი საფუძვლად დაედო მის ახალ ლექსებს, რომელთა ნაწილი გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში", ჟურნალ „ცისკარში". „საზღვარგარეთის მოტივების" ციკლში გაერთიანებული ეს ლექსები ცალკე წიგნად გამოდის გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში". მათში იგრძნობა ბულგარელი ხალხის, მისი უძველესი კულტურის სიყვარული, სიხარული წარმატებებისათვის, რომლებსაც ბულგარელმა ხალხმა მიაღწია სოციალიზმის მშენებლობაში.

იქმნება ახალი სპორტული კომპლექსი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით საბურთალოში, მშენებარე ტრეკის გვერდით, შეიქმნება დიდი სპორტული კომპლექსი უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლისათვის. მისი დაპროექტება დაიწყო „თბილქალაქპროექტის" ინსტიტუტის მეხუთე საარქიტექტურო სახელოსნომ.


— ახალი სპორტული კომპლექსი გადაიჭიმება თითქმის 12 ჰექტარზე, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს მთავარმა არქიტექტორმა და პროექტის ავტორმა ნოდარ შოშიტაიშვილმა. — პროექტი ითვალისწინებს როგორც ღია, ისე დახურულ სპორტულ დარბაზებს — კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, მხატვრული ტანვარჯიშის დარბაზებს, ჩოგბურთის კორტებს, აუზებს, აგრეთვე საგაზაფხულო მოედანს სპორტული ასპარეზობისათვის. ერთ-ერთი საზამთრო დარბაზი დაიტევს სამი ათასამდე მაყურებელს. კომპლექსში შევა საწვრთნელი სტადიონები, ტირი.

საერთო ანსამბლს დაამშვენებს სპორტული სკოლის ადმინისტრაციული შენობა და 150-ადგილიანი სასტუმრო.

[-10]

ფ. 2/1/45

თბილისური სუვენირები



თითქმის 2.000-ზე მეტს ქართულ სუვენირს გააგზავნის წელს იაპონიაში თბილისის მხატვრული ნაწარმისა და სუვენირების ფაბრიკა.

ეს არის პირველი საზღვარგარეთული შეკვეთა თბილისურ სუვენირზე, რომელიც წელს მიიღო ფაბრიკამ. თბილისელ ოსტატთა ნახელავს კარგად იცნობენ საფრანგეთში, კანადაში, ბელგიაში და სხვა ქვეყნებში, იაპონიამ კი შეკვეთა პირველად გამოგზავნა.

ქართული სუვენირების შექმნაზე საუკეთესო ოსტატები მუშაობენ.

სურათზე: თბილისის ფაბრიკაში დამზადებული მხატვრული ნაწარმისა და სუვენირების ნიმუშები, რომლებიც გაიგზავნება იაპონიაში.

დაგეძებენ, მოგელიან

ნიკა ალექსის-ძე ქევხიშვილს, დაბადებულს 1914 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურში, ეძებენ და — სირანა, დის ქმარი — ალექსი ლეკიშვილი.

ოთარ (ჩხაკუ) გუგუშვილს, დაბადებულს 1924 წელს აბაშის რაიონის სოფელ კოდორში, ეძებენ დედა — ელპიდი, და — ოლია გუგუშვილები.


შალიკო ივანეს-ძე ჩხაიძეს, დაბადებულს 1918 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითში, ეძებს და — ლუბა ვადაჭკორია.

ნესტორ კონსტანტინეს-ძე ჩიჩუას, დაბადებულს 1904 წელს ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკში (უფალკარში) ქევში, ეძებს შვილი — ავთანდილ ჩიჩუა.

ქურციკი იოსების-ძე გაბიაშვილს, დაბადებულს 1919 წელს სოფელ არგოშიკში, ეძებენ დედა — ახრასია, მამა — იოსები, ძმები — ივერი და არსენ გაბიაშვილები.

ირაკლი დავითის-ძე გაბიაშვილს, დაბადებულს 1920 წელს სოფელ არგოშიკში, ეძებს ძმისწული — კლარა თურმანის ასული გაბიაშვილი.

სურათებზე: მარცხენა სურათზე მარცხნივ — ოთარ გუგუშვილი; მარჯვენა სურათზე — შალიკო ჩხაიძე.





გაიცანით: „სოლანი“

„სოლანი“ — ხელოსნობისა და ხელოვნების მფარველის სახელი ძველ ქართულ მითოლოგიაში — დაერქვა ხალხური სარეწების გაერთიანებას, სადაც შევიდა რესპუბლიკის ათი საწარმო.

საქართველო ძველთაგანვე ცნობილია თავისი ოქრომჭედლებით, ხისა და ძვლის ოსტატებით, ხალიჩის მქსოველებითა და მეთუნეებით. ახლა რესპუბლიკაში არის ხალხურ ხელმარჯვეთა ოჯახები და მთელი სოფლებიც კი. მაგალითად, სოფელ შრომაში მეთუნეობას ეწევა 300-ზე მეტი ოჯახი. ხალხური სარეწების სხვა სახეობაა მეხალიჩეობა. თუშური ქეჩის ხალიჩები ყურადღებას იპყრობენ ორნამენტის გაბედული დეკორატიულობით, გემოვნებით შეხამებული ფერებით.

სოფელ ალვანში ფარდაგებს ქსოვენ თითქმის ყოველ სახლში. მათი არქაული გეომეტრიული ორნამენტი ყურადღებას იპყრობს თავისი კეთილშობილური დახვეწილობით. გამოყენებითი ხელოვნების ორიგინალური სახეობაა ხისა და ძვლის მოჩუქურთმება, რითაც განთქმული არიან სვანეთის ოსტატები.

ხალხურ ხელმარჯვეთა ნაწარმოებნი ექსპონირებული იყო მონრეალის მსოფლიო გამოფენაზე და იზმირის ბაზრობაზე, სადაც მცოდნეთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს ელეგანტურობითა და ნატიფი ეროვნული კოლორიტით.

საქართველოს ძველი ხალხურ-დეკორატიული ხელოვნების აყვავებისათვის ხელის შეწყობა გაერთიანება „სოლანის“ მთავარი მიზანია.

მარტო წელს გაერთიანება გამოუშვებს ნახევარი მილიონი მანეთის მხატვრულ ნაწარმსა და სუვენირებს. განზრახულია სპეციალიზებული მაღაზიების აშენება რესპუბლიკის ქალაქებში, შეიქმნება პროფესიული სასწავლებელი ხალხური მხატვრული სარეწების სპეციალისტთა მოსამზადებლად, მცხეთაში უკვე დაიწყო მხატვრული ნაწარმისა და სუვენირების ქარხნის მშენებლობა, რომელიც წელიწადში მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს.

ᲙᲝᲣᲞᲔᲠᲘᲜᲔᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ᲙᲕᲚᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ

თბილისი, ჯ. ათონელის ქ. № 25.